

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მედნე, შორღანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ურარს ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

შეიძლება: შთვილისში, რედაქციის კანტორაში (აღრესი გაზეთის სა-თაურში ნახეთ) და გარეშე შალაქებში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 იელისილამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე) გაგზავნილ და გაუგზავნელად — 4 მან. და 50 კაპ.

## საქართველო

### ვაჭარი და სოფლის გლეხი

#### II

მ რვეე უშვრებიან ვენახების პა-ტრონ გლეხებსაც.

რომელი გლეხის ვენახიც მოეწო-ნება ვაჭარს, იმ გლეხს შეუჩნდება, თავს გააცნობს, კარგად გაუმეგობ-რდება, სადილათ დაპატრონებს, ქებას შეასხამს, მოუტურდება. ქომადგად გა-უხდება სადმე რამე საქმეში.

შემდეგ მიავალებს ხუთ ან ათ თუმან ფულსა და დაიგირავებს იმ ვენახს. შაყუინებს ორ-სამ წელი-წადს, შეუსვამს სარგებლის სარგე-ბელს თავნათ, გაუხდის იმოდენად რამოდენისაც გლეხს გადახდის ღო-ნის-ძემა აღარ ექნება.

მერე შეეყიდება ამ ვენახს. თუმცა გლეხს არ ემეტება, მაგრამ ვაჭარი მისცემს სხვა და სხვა ცარიელ თანხა იძებებს და თანაც ეტყვის: „ძ კო! რათ ეწევი ამოდენა სარგებელს და რათ იბევრებ ვალსა! რათ ვარდები შენი ცოლ-შვილის მოვალეობაში? აიღე, დამიბტოცე ეგ ვენახი დრო-ზედ და გაათავე. ხომ ისევ შენ ხელში იქნება: მაშ აბა მე დუქანს ხომ თავს არ დავანებებ და მაგაში

არ ჩადგები? მხლაც მაინც მოსავლის ნახევარს მე მაძლევ სარგებელში; მაშინაც ხომ მეზღვრავ ისევ შენ იქ-ნები და ნახევარი კიდევ შენი იქნე-ბა და ნახევარი ჩემი. მე მეზღვრავ, ვალი კისერზედ გატყდება, თორემ განა მოგებაში ვარ?“

ამაობით დაითანხმებს გლეხს, და იმტკიცებს ვენახს კანონიერად და შესდგამს ესრეთ შიგ ფეხს და და-წერს იმ ვენახზედ თავის სახელს.

რასაკვირველია, ერთ-ორ წელი-წადს მეზღვრავ ისევ ეს ვენახის ნაპა-ტრონევი ეყოლება, და მერე დაი-ჭერს სხვა იაფ მოჯამაგირეს, იმას ამოაპანდურებს და თავის საკუთარს განკარგულებით იწყებს ამ ვენახის შემუშავებას.

ღაიარება საწყალი, მამულისაგან ხელ აღებულო გლეხი; იღებს კიდევ წერიმალ ვალებს; მაგრამ რადგან მამული აღარა აქვს, თავის ვადაზედ ველარც ამას გადახდის, ვაუყიდიან მოვალეები უკანასკნელს ხარ-კამბეხს და დარჩება ესრეთ გულ-ხელ-დაკრე-ფილი, ცოლ-შვილთან პირშავად და მტერ-მოყვარესთან უღონოდ.

ამ ნაირათ დღეს მთელ სოფლის ხადი-თავის მშვენიერი ვენახები თი-თქმის სულ გორელი ვაჭრების ხელ-შია, (ბევრი სხვა ჩვენი სოფლებიც ამ გვარს ბედში არიან), და გლეხები

კი ისევ მაინც სიღარიბის და ვალის მორევი სტურავენ.

ასეთის გრძელის ბაასით იმიტომ შეგაწყინეთ თავი და ეს ამათ შორის აღებ-მიცემობის გარემოებაში იმი-ტომ ჩაგახედეთ, რომ ურჩიოთ რა-იმე საშუალება ამ უმეტრებს გამა-ღარიბებელის და გამალატაკებელის ზოგიერთა ვაჭრების მანქნეებიდამ; ურჩიოთ რამე სახსარი თავის დაძ-რომისა და ცხოვრების გაუმჯობე-სობისა.

ზარწმუნებთ ამაზედ, რომ საქარ-თველოს გლეხებს — რომ ის ნათქვა-ში ჩრჩილები არ ღრნიდნენ, იმოდენ-ნი ღვინო და პური მოსდით, რომ პირ იქით ფულები უნდა გაასესხონ და არა ივალონ.

მართალია, ვჭყვირით, რომ სოფ-ლებში უკოლები გაიხანასო, პურის მალაზიები დაკეთდესო. ეს კარგია, მაგრამ რის საშუალებებებია ესენი? პურის მალაზიების გამართვა მოუ-ლოდნელის შიშშილისაგან გამოიხ-სნელია და საწავლებელი უმეტრე-ბის სანთელია! სასწავლებელში რომ განათლებას მიიღებენ, მერე ცოტაც არის რასმე გაიგებენ და მიხედებიან. მაგრამ ეს ხომ ჯერ გვიან იქნება, ძირეღ გვიან!..

მაშ რა ეფუოთ? რა ეურჩიოთ?

სანამ ესენი განათლებას მიიღებენ, სანამ იმ ღრმა უმეტრებიდან თავს დაახწვენ და იმ გრძობაში მოე-ლენ, რომ თავიანთი თფლი უსარ-გებლოდ სხვებს არავის დაატყუები-ნონ, მანამ მე, ჩემის მხრივ, ერთს პატარას, მაგრამ პრაქტიკულ საშუა-ლებას ურჩევ:

შველა სოფელმა თავ თავისათვის გააკეთებინოს ქესტის ანუ სპილენ-ძის რამდენიმე ჩანახები. ჩანახები

იყვეს კასრის ნაირები, ე. ი. ქვემო ძირი და ზემო პირი თანასწორის სიგანისა ჰქონდეთ, და პირთამდინ რომ წმინდა პურით გაამსონ და პირზედ ჯოხი გადაუსვან ასე, რომ აღარც პარ ზევით იყოს მომეტებული ხორბალი და არც პირ ქვემოთ აკ-ლდეს, და ეს ხორბალი 20 გირვანქა მოვიდეს. ეს ჩანახები მამასახლისებს ებარებათ, და როდესაც იმ სოფლებ-ში ჭრანახულის ამრწყველები მივლენ, მაშინ ყველამ ამ კანონიერის სასო-ფლო ჩანახებით აირწყონ, ამითი იყიდონ და ამითი მიჰყიდონ ხოლმე.

ამ ჭამად ეს ღონის-ძემა ვირჩიე და თქვენც თქვენის მხრივაც რაც გსუ-რდეთ, ის ურჩიეთ...

(დასასრული) ს. ც.

### ღლიური

□ აპრილის პირველს ერთმა აქაური არტილერიის კაპიტნის ბე-ლაევის ცოლმა თავი ჩამოიღო. ფენის სასულეზე. შევლას უკვირდა ის გარემოება, რომ ეს ახალგაზდა ქალი ისე დაბლად ნახეს ამ სასუ-ლეზე ჩამოკიდებული, რომ იატაკზე ფეხს ადგამდა, და ამის გამო აქებერს რასმე ლაპარაკობდნენ. ბოლოს სა-სამართლოს ექვი აუღია, გამოძიება დაუნიშნა და აღმოჩენილა, რომ ეს ქალი კაპიტნის მსახურის (დენს-ჩიკის) ბოროტ-განზრახულების მსხვე-რპლი ყოფილა. ასე ამბობს გაზ. „ბეკაზიცი.“ როდესაც თავის ბინძუ-რი განზრახვა ვერ შეუსრულებია, გაბრაზებულს დენჩიკს დაუღერჩვია და მერე ჩამოუკიდნია ფენის სასულე-ზე...

## ფელტონი

### საყვარელო ზღაპრებიდან

#### მარდი და ეკალი

მართს ღარიბს, მაგრამ წმინდას ქობში სცხოვრებდა ქერივი დედაკა-კი ათის წლის ვაჟით. მოყვარულს დედისათვის ამა სოფლის ხეტარება იყო დასახლება მის ბიორგისა — და მართლადც პატარა ბიორგი ღირსი იყო ამ გვარი სიყვარულისა!

ზოგიერთ ყმაწვილს ურჩობა, ჭი-ნიანობა, ცელქობა, და სხ. ამ გვაოი რამ უზნეურობა საქებად მიანია.

მაგრამ ბიორგი კი ამ გვართაგანი არ იყო, იმან კარგათ იცოდა, რომ დედა მისი ცუდს არაფერს ურჩევდა და არა

თუ ემორჩილებოდა მის ნებას, თით-ქმის თვალბეჭდში შესცქეროდა და იმას სცდილობდა, თუ რა მოეწონოდა და რით ვასიამოვნოდა!

რადგანც ჯერ პატარა იყო, ამის გამო მწყემსობის მეტი არა შეეძლო-რა და იმას კი რიგინად ასრულებ-და. საწყვესურში ცხვრებსაც კარგათ უვლიდა და გულის საჯეროთაც ბურ-თაობდა თავის ტოლ-ამხანაგებში, სადაც ხან ბურთაობდნენ, ხან რიკაობ-დნენ, ხან მალულობიას თამაშობდნენ და ხან ძერაკულობასა პატარა ბიორ-გი მისთანა საყვარელი იყო თავის ამ-ხანაგებისა და თანაც მისთანა მარდი, რომ თამაშობის დროს, როდესაც მწყემსები ორად გაიყოფოდნენ, არჩე-ვანის დროს პირველად ბიორგის მი-ვარდებოდნენ ხოლმე.

სალამობით, როდესაც ცხვრებს მორეკდა სახლში, დაღალული ჩაუ-დებდა ხოლმე დედას კალთაში თავს და ხან მთისას ეჭუქუჭუებოდა, ხან ბა-რისას მისგან აღტაცებაში მოსულ დე-დას. ხანდა ხან ძალიც მოესწრებოდა დედის მეკრზედ მიყრდნობილს და მაშინ დედა მისი სიფრთხილით, რომ არ გამოაღვიძოს პატარა მისი ნუგე-ში, თითქმის სუნთქვასაც კი იკავებ-და, დაჩერდებოდა ხოლმე სახეზედ, ხან გაიღიმებოდა და ხან წაშფაშფებდ კურცხალი გადმოეკიდებოდა დედა მის. მან იცის — რას ჭფქობდა მა-შინ საბრალო დედა, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ იმ დროს მისი ფი-ქრები მხოლოდ პატარა მძინარას ეკუთვნოდნენ.

მართს საღამოს. როგორღაც მოწ-

ყნილი დაბრუნდა სამწყვესურიდამ ბიორგი. დედა მისმა შენიშნა ეს და მიხეზი გამოჰკითხა: — ხომ არავის გაულახავხარ, შეილოო? — ბაღა-ხვას ვინ რას მერჩოდო, მიუგო შეილმა, მაგრამ მე ის მაწუხებს, რომ ყველა უხერხულის შეილს მიძახისო და რა მიხეზია ეს, თუ არ გავიგე. არ შეიძლებაო. მით უფრო რომ, რამ-დენათაც შენგან გამიგონია, მაძაჩემის ნამდვილი სახელი თქდორე იყო. ამ სიტყვაზედ დედა მისმა ამოიხენწეა, ჩაისვა კალთაში შეილი და მოუყვა მარცვალ მარცვალ, თვითო კაკლათ შემდეგი:

— „შოველის ცხოველისაგან განსხვავდება კაცი, პირუტყვეებისა-გან ზნეობის უზენაესობით, რომე-ლიც უმეტეს ნაწილათ სინდისში



□ ჩვენ მოგვიყვანა ძახეთადმ შემდეგი შენიშვნა:

„მოგახსენებთ, რომ აქაურს სოფლებში ჰკრებდნენ კომლზე წელიწადში თითო მანეთს სასოფლო შოკოლების სასარგებლოთა. ეს ფული შედიოდა ადგილობრივ მაზრის ხაზინაში. ზოგიერთს მღვდლის უწყებაში იყო შოკოლა გახსნილი, ზოგ შოკოლაში თუმცა არ იყო შაგირდები, მაინც ისინი თავიანთ ბლაღოჩინებს მოწოდებას ართმევდნენ, რომ ვითომც ნამდვილად შოკოლა არსებობს და მოწაფენიც იმყოფებიანო; ამ მოწოდებას სამაზრო ხაზინაში წარადგენდნენ, საიდანაც ღებულობდნენ საოსტატოთ დანიშნულ ჯამაგირს. მაგრამ ბოლოს როგორც იყო, ადგილობრივმა მთავრობამ შეიტყუა ეს მოქმედება და ვისაც კი მიუღია რამე, სრულებით ართმევდნენ. ამის გამო ახლა გაცხადებული ანგარიშებია ბლაღოჩინებსა და მღვდლებს შუა.“

□ მრი თუ სამი ღვთისნიერი ხონის მცხოვრებელისაგან საჩივარი მოგვიყვანა, რომ აქაურს ეკლესიებში გირვანქა წაიღო და სანთელს ორ მანეთად ჰყიდიანო; მაშინ როდესაც, როგორც ჩვენ ნამდვილად ვიცით, ის პირი, რომელსაც კანტრაქტით აქვს, ძველადვე ყველა ქალაქებში სანთლის მალაზის გახსნა და გაყიდვა, ვალდებულია, რომ გირვანქა სანთელს მანეთზე მომეტებულ და არ ჰყიდდესო. მეთაისში და ზოგან სხვაგან ამ ფასად ჰყიდიანო და ჩვენ რაღა დავაშავეთო. მითი ეპარქი იწერება, თუ ნებას მოგვცემენ, ჩვენ, ეპარქიები, მოვიტანთ რუსეთიდან წმ. სანთელს, გირვანქას მანეთად გაყიდვით, და რადგანაც ხონში ორმოც ფუთ-მდი წმ. სანთელი იყიდება წელიწადში, ამის გამო გამოიანგარიშეთ — თუ რამდენ მოგებაში იქნება ხალხი! ეს ფულები ჩვენს შოკოლას ან სხვა რამე კეთილ საქმეს მოგახმაროთ — ის არა სჯობიაო!...“

□ ს. ზოგადო ჩივილია ჩვენში გვლავაზე. მაგრამ ამ დღეებში შოთილამ მოსულეებმა გვითხრეს, რომ ოთხშაბათს რომ აქ წვიმა იყო, ეს წვიმა იმერეთისა და მართლისაკენაც ყოფილა. მთე ძახეთსაც ერგო რამდენიმე ნაში, იქნება ცოტადენად სული მოიბრუნოს...“

გამოცხადდება ხოლმე. მაგრამ თუ კაცმა ზნეობით მხარე დასჩაგრა როგორმე და სინილისა წაიწყინდა, მაშინ ის ყოველს პირუტყვზედაც უპირუტყვესი შეიქნება ხოლმე. ხშირად, როგორც უკიდურესი უბედურება, უკიდურესი ბედნიერებაც აბრძანებს კაცს, უბნებს სწორ გზას და მიჰყავს ზნეობით დაცემამდე. ზნეობის დაკარგვასთან გაჰყვება ხოლმე ის ღვთის ხატება და მსგავსება, რომლითაც კაცი უპირატესობს სხვა ცხოველზედ. რაც აქ თვითოველს კაცად-კაცთაზედ ვსთქვი, იგივე თქმის მთელს ერზედაც. ზნეობის დამკარგავი პირი თან და თან ზოგიერთა უფრო იჩაგრება — ეს საზოგადო კანონია — ჭლებდება და ბოლოს სულაც გაქრება, რომ იქაქა სადმე მიგდებულსა და მივიწყე-

□ „მოსკოვის უწყებებში“ იწერებინ, რომ სახელმწიფო ქონების სამინისტროში ახალ კანონებს ამზადებენ, შესახებ სამხრეთ რუსეთის წყლებში თევზებისა. ამბობენ, ამ კანონებს ძველადის წყლებში თევზებისთვისაც ექნება ძალაო.

**უამრავლად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს. რომელთაც ვარაუდელი ანუ ფლავანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოსუბანიათ, რაც შემოსება მალე შემოსიბანონ.**

„დროების“ რედაქცია სთხოვს იმ პირთა, რომელთაც გაგზავნილი ჰქონდათ გასაცემად „დროების“ კალენდარი,“ გაყიდვისაგან შეძლებისადმი ფული მალე გამოუგზავნონ უ. მართანოვის წიგნის მალაზიაში ან თვითონ რედაქციაში.

**რედაქციისათვის**  
საზღვარ გარეთის ხელი-მომწერლებისათვის ვაცხადებთ, რომ გაზეთი „დროება“ გაგზავნილ ღირს წელიწადში: საფრანგეთში და მსხალეთში — 13 მან. შევიცარიბი და ბერმანიაში — 12 მან. მაცხადებთ ამას იმიტომ, რომ ზოგნი ფორტის ფულს არ ანგარიშობენ და ჰგონიან, რომ გაზეთი საზღვარ გარეთაც მ მანეთად ღირს.

**„დროების“ კორექტორებისადმი**  
ბურიალამ, 15 თბათვეს

ამას წინეთ ბურიაში, სოფელს უჩხობს, ერთი ბებერი მომკვდარა. ამ ბებრის სიკვდილი შესანიშნავია მით, რომ — უმისოთაც ცრუ-მორწმუნოებაში ჩაფლული ხალხი, უარესად დაჰკარგა ცრუ-მორწმუნოების სიღრმეში:

სიკვდილის წინ ნათესავეებს მღვდლის მოყვანა განეზარახათ; მაგრამ მომკვდარს ვთქვა: „ჩემთვის მღვდელი ნუ მოგყავს; მე მაინც ვიცი, რომ არ ცხობნდები; ჩემთვის სულ ერთია, ჩემს ცოდვებს თქვენვე ჩამოგივლით. რაღას უნდა გაუფრთხილდე? მე მაინც ვგრძნობ, რომ ამ ქვეყნის არა ვარ; მე მომიკლავს თუთხმეტი კაცი და ქალი, ორი ჩემი შე-

ბულის ალაგს სულის ჩამბერვლი და ჩამდგმელი არა ჰყავდეს. ეს სულის ჩამდგმელები არიან ისევე მისი შეილები. ამ გვარი შეილი მამულს ასი ათასში ერთი ჰყავს; ისე ძვირია. — ძვირია, მაგრამ ისინი თავის ოფლისა და სისხლის ღირით უმზადებენ თავის მომავალში მკვდრეთით აღდგინებას.

— ამგვარ ჩვეულთაგანს ეკუთვნის დამაზა შენიც. ის თავის პირადობასა და კერძო ბედნიერებას საზოგადოს სწირავდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: „საზოგადო უბედურების დროს კაცი არ უნდა ეძებდეს კერძო თავის ბედნიერებას. მთე ჩემ გარეშე მო ყველანი მშვიერი იქნებიან, მაშ გემრიელი საჭმელიც უგემურათ ჩავა ჩემს პირშიო. მითი ყველასათვის და ყველა ერთისათვისო“ — იტყოდა. ამგვა-

ლიდა სხვა სხვისა. მქვენ არ იფიქროთ, თოფით მოგვეკლას; არა, მე გავსაკვე-გავდღე, ე. ი. როკაპა შექწირე“.

ჩამოვთვალა თვითოველად თუ-თხმეტამდე მკეტრები და თვითოვეულზედ გულ-შემტკივნეულობა გამოვიჩინა. „მაგრამ რა მიქნათ, ვთქვა: ავით რომ შეიქნებოდა, მიც ველარ უშევილიდო, რადგანაც შეწრული იქნებოდაო. მარტო მე არ ჩვილიო-დი ამ საქმეში; სხვებიც მყენან ამ ხანაგები, კუდიანებიო“. და ათამდი მშვენიერი კეთილშობილის ქალები ჩამოუთვლია, რომლებსაც საზოგადოება, ადრე თუ გვიან, დადღვას უბარობს.

ამასთანავე კიდევ უთქვამ: „ღეინო რომ არ მოდიოდა ბურიაში, ჩვენნი ბრალი იყო, თქვენ საწყლებო! თქვენ თვალი არ გქონდათ, რომ ყურძნის მარცვალი მონაცრული იყო? იმ ნაცარს გვამღვდა როკაპი და სად-ც მოვებნედი, იქ ღეინო არ მოდიოდაო. შარშან რომ მოვიდა ღეინო, ეს იმიტომ რომ ნაცარი სამ სოფელში დაგვებნათ“.

რომ ჰკითხოთ სამისოფლის მცხოვრებლებს, ღეინო თუ მოგივიდაო, მოგივებენ: „იმ დედა-გაგლიჯილ კუდიანებს ნაცარი მარტო ამ სამ სოფელში დაბნევა და აქ ღეინოს რა გაჩენდა! არა, ამ ბორმ-ღალამ დაგვამო კაცი“. (ბორმ-ღალამ ეძახიან აქარის მთის ერთ შტოს, სოფელს ზოგიეთის მახლობლად. ეს შტო ძლიერი ქვა-კლდინია. ახალ გამოდარებულზე რომ შეხედოს კაცმა ამ ალაგს, შენიშნავს, ვითომც ვილაცას სარეცხი გამოუმწურებიაო. ხალხს ჰგონია აქ ქინკების სამყოფია და პერანგებს აშრობენო. ამ ადგილზე მართლაც კაცი არ მისულა თურმე ჯერ) „შთუოდ იმ ქინკებთან როკაპიც არისო, უთუოდ იქ არის მათეიც (როკაპის სამყოფი) და იმიტომაც ვერ მისულა კაცი იმ არემარეშიო,“ — ასე ამბობენ აქაურები.

**Z**  
მეთაისი, თბათვის 14-ს  
ისე თქვენი მტერი შექწუხდა, როგორც ამ თვეებში სიცხემ და გოლვამ ჩვენ შეგვაწუხა. საწყალ იმერე-

რი აზრის და მოქმედების კაცი, რასაკვირველია, პირადთ ვერას შეიძენდა, მარად ღარიბი იყო, უხარისხო. ჩვენს ხალხს და ჩვენს მეზობლებს, რომლებსაც ანდაზათა ჰქონდათ ბოდვლის პირუტყული არაკი: „მთე მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნურა ყოფილაო!“ — ახირებულ კაცთ მიჩნდათ მამა შენი. დასცინოდენ და გაიციხეთაც დაარქვეს უხერხული.

— ღმერთმან ხომ იცის, რომ ჩემს ქმარს ბორბოტი არავისთვის არ უქნია, მაგრამ ყველასა სძულდა. რადგანც არ ვებრანებოდათ მისი გამბედაობა, თე-მოუხერხლობა და პირდაპირობა. როგორც გველს ეჯავრება გოგირდის სუნი, ისე მეზობლებს ეჯავრებოდათ მამაშენი. ეს იცოდა იმ ცხოვნებულმა, მაგრამ ისე იტყოდა ხოლ-

თის ხალხს უმისოთაც უჭირდა მუშაობა და ახლო-სული დაუჭრეფია გულზე ხელით და ისე დაიარება, თითქო ვისმეზე მგლოვიარედ არისო.

იმერეთის საზრდო სამინდია, რომელსაც აქ სთესვენ მარტის გასულს და აპრილის პირველ რიცხვებში; მაგრამ ახლო-ც რომ გაიარ-გამოიაროთ იმერეთში, და განსაკუთრებით მეთაისის უზღში, ოცდა-ათ კომლ კაცში თითქმის ვერც ერთ კომოს ვერ ნახავთ იპისთანას, რომელსაც წლის საზრდოს მოსავალი დათესილი ჰქონდეს, რადგან როდესაც თესვის დრო იყო, იქამდ დაწყებული აგერ ნახე-ვარი იენისი გადის, რაც ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა; ისე განმა მიწა, რომ აქაური ძველებური კავ-სახენელით კი არა, ქართლური გუთნიც რომ მოიტანო და შიგ ცხრა უღელი ხარ-კამბეჩი შევაბა, ერთ ბელტსაც ვერ გადმოაბრუნებ.

ბევრი შამოგხარჯათ „ლაზარეხედ“ ტანტალი აქაურ დედა-კაცებსაც, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა თავიანთი ლოცვით წვიმა ვერ მოიყვანა...“

რა შედეგი იქმნება იმერეთის მცხოვრებლებისათვის ამისთანა სიცხეს და გოლვას, ამაზედ მე ჯერ არაფერს ვიტყვი და თუ ამ თვის გასვლამდის ეს გოლვა ასე გაგრძელდა, მაშინ იმას ყველა მიხვდება.

აქაური ქართული სცენის მოყვარეები ამ გოლვა-სიცხეშიაც მაინც თავისას არ იშლიან: მაისსა და ამ იენისში აქ ხუთჯერ იყო წარმოდგენა სხვა და სხვა მიზნებით და ერთ-ჯერ კიდევ აპირებენ ამ თვეში.

მთემა ხალხი ამ წარმოდგენებზე არც ერთჯერ საკმაოთ არ ყოფილა, მაგრამ წარმომდგენლები მაინც თავიანთ ენერგიას არ ჰკარგავენ და, შეძლებისა დაგვარად, ძლიერ კარგათ არდგენდნენ.

მიმითა


### რუსეთი

„ს. ზოგადოთ ყოველ ზაფხულობით უჩივიან რუსეთში ხშირად ცეცხლის გაჩენას და ზიანს, რომელიც ცეცხლს ქალაქში და სოფლებში მოაქვს. მაგრამ იმდენი საჩივა-

მე: „მე კი სინილისი წმინდათა მქონდეს და ვინც რა უნდა სთქვასო, თიქრი არ არის, ვერას დამაკლებენო, თუ სიმართლე ჩემსკენ არისო.“ ასე ამბობდა და ის კი არ იცოდა საბრალომ, რომ ბორბოტი მტერი მისგან ამორჩეულ სამსხვერპლოს მარტო სიტყვას არ აკმარებს და საქმიოთაც გაიღვება ხოლმე.

შველავედ უფრო ის ეჯავრებოდა ერთს კაცს, რომელიც საზოგადოების დაჩაგვრით ამაღლდა, რომელსაც ბედნიერებისაგან გამაყვებულს ვერაინ რასმეს უბედავდა, მაგრამ მამაშენმა კი ბევრჯერ აკენეფია თითი ქვეყნის მტერსა და მის მოსისხარმდენელს.

„მ-საც ჩემი მორიდება გაქვს და ჩემი რამე გრწამსთ, მაგ საძაგელ კაცს ნუ მიეკარებით, ნურც ავით და



რი, რომდენიც ახლა ისმის, არასოდეს არ ყოფილა. მთელი ერთი ქალაქი მარშანსკი გადიწვა, პეტერბურღში და მოსკოვში რამდენიმეჯერ გაჩენილა ცეცხლი, აგრეთვე მდესაში, ნიკოლაევში და ბევრ უფხდის ქალაქებში და სოფლებში. „ცეცხლისაგან მზღვეველ საზოგადოებებს“, როგორც ამბობენ, წელს ბევრი ზიანი მიუღიათ, და ამის გამო ისმის, ვითომც ეს საზოგადოებანი შემდეგში ხის სახლების საზღვეველად მიღებას აღარ აპირებენო.

✶ მთი ძლიერ სასარგებლო საზოგადოება სდგება ამჟამად პეტერბურღში; ახალი საზოგადოების მიზანი ის იქნება, რომ სადაც კი ტყეების აჭრას ქვეყნისათვის ზიანის მოტანა შეუძლიან, ეცადოს, რომ არ აჭრან, და სადაც საჭრო იქნება, კიდევ მოაშენონ ტყეები. სხვათა შორის, ეს საზოგადოება ბეჭდვით გააერთელებს დარიგებას, თუ როგორ უნდა ტყეებს მოვლა და, თუ საჭიროა, როგორ და რა წესით უნდა მოსჭრან.

✶ წაუღლი წლის დამლევს რუსულ გაზეთებში იწერდნენ, რომ პეტერბურღში საზოგადოება სდგებოდა, რომელიც ფულებს შეკრებს და ეცდებოდა, რომ რუსეთიდან გასული თათრები ისევ რუსეთში გადმოასახლონო. როგორც იწერებიათ, ამ საზოგადოების პროექტი ახლა მზათ არის და უმაღლესი ადმინისტრაციისთვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად. 1.200 კაცს გამოუცხადებია ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების სურვილი და 800 ამათგან ისეთები არიან თურმე, რომელთაც პირობა დაუდევიათ, რომ ამ საქმისთვის წელიწადში 100—200 მანეთს შეესწირათო.

✶ მდესაში მგზავრად არიან თურმე ამ ჟამად 800 ბერმანიელის

ოჯხი, რომელნიც სამხედრო სამსახურსს შეუშინებიათ და ამის გამო ისევ ბერმანიამი მიდიან.

✶ ტ.განროგის ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, პურის გამყიდველსა და მყიდველს ორივეს თითო ჩეტვერტში (7 ფუთში) 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპიკი გადახდებათ ქალაქისაგან. აგრეთვე ცხენის პატრონებსაც თითოეულ ცხენში წელიწადში ორი შაუკრი ხარჯი ექნება დადებული. ამ ახალ ხარჯს ქალაქი ქუჩების გასაკეთებლათ ნიშნავს.

## რუსო ქვეყნები

საზრანგეთი. მინისტრებს დაუწყვიათ განჩივა ბეჭდვის თაობაზე ახალი კანონისა. მაგრამ ყველა გვარი გაზეთები თითქმის ერთხმათ ამბობენ, რომ ეს ბეჭდვის კანონები ისეთ ნაირად არის შედგენილი, რომ თითქმის სრულიად არ ამსუბუქებს ახლანდელს ბეჭდვის მდგომარეობას; ის ვერაფერს ევრ დააკმაყოფილებსო და ამის გამო ყველა დარწმუნებული არისო, რომ ნაციონალური ძრება ამ კანონის პროექტს არ დაამტკიცებსო.

თვითონ ნაციონალურ ძრებაში კი ამჟამად ამორჩევითი კანონებზეა სჯა. ბასის დროს ბრევის წარმოუთქვამს სიტყვა და ამტკიცებდა თურმე იმ მუხლის უსაფუძვლობას, რომლის ძალითაც მხოლოდ იმ კაცს აქეთ ამორჩევითი უფლება ანუ კენჭი, დებუტატის ამორჩევის დროს, რომელიც ერთს ალაგას ორი წლის განმავლობაში ცხოვრებს. ბრევი ამტკიცებდა, რომ კენჭის უფლების მიღებისათვის ექვსი თვის დაჰყოფა ერთს ალაგას საკმარისი უნდა იყო. მაგრამ კონსესვატორული ძრე-

ბა, რომელსაც ჰსურს, რაც შეიძლება ნაკლები ამორჩევილები იყვნენ, არ დათანხმებულა ამ წინადადებაზე და ძველი მუხლი შეუცვლელად დარჩენილა.

მსპანი. შრანცუზული გაზეთებში გეცნობებენ ახლა იმ წყაროს, საიდანაც პოულობს ღონ-ძარლოსი ომისათვის ფული: ერთი რომ ღონ-ღონში საკუთარი კამიტეტი არსებობს, რომელიც ხელის მოწერით და სხვა საშუალებით სესხულობს და ჰკრებს ინგლისის ბანკირებში ბევრ ფულს და ღონ-ძარლოსს უგზავნი-სო; მეორე, ბერმანიიდან, იტალიიდან და საზოგადოთ ყველა სახელმწიფოებიდან, სადაც კათოლიკე ეკლესიის მორწაუნე და ერთგული შეილები არიან, ერთმანეთში აგროვებენ ფულს და მსპანიაში აგზავნიანო. ბანკირებსაც და სხვებსაც, ვინც ფულს აძლევს ამ საქმისთვის, იმედი აქეთ, რომ ღონ-ძარლოსი გაიმარჯვებს, გამეფდება მსპანიაში და მაშინ ერთ-ორად და სამად გადგვიხდისო.

იტალია. მთხმოცდა სამი წლის რომის პაპსა წასული თვის დამლევს თვის ტახტზე შესვლის დღე უდღესასწაულებია. მც-და-ათი წელიწადია, რაც წმ. პეტრეს ტახტზე ავიდა პაპი პიო მეცხრე; ამდენი ხანი არცერთ რომის პაპს არ უმეფენია (?). ბევრი მწარე წამი გამოსცადა, ბევრი შევიწროება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ მაინც მარჯვეთ არის და თუ საიდანაც შემთხვევაა შაუხნდა, საქვეყნოთ გამოჩენა და სიტყვის წარმოთქმა არ უჭირს. შოველ წელიწადს კი რამდენჯერმე გაეარდებოდა ხმა, რომ წმინდა მამა ძალიან აფთ არისო, ექიმებმა იმის მორჩენაზე ხელი აიღესო, მაგრამ ჯერ მაინც კიდევ ცოცხალია და თვის მტრებს

ბშირ წყველა-კრულენა და ქვეყნის არ აკლებს...

შვეიცარია. შენევის კანტონის რჩევაში გამოჩენილ ღვემს ჭაზის წინადადება შეუტ-ნია, რომლის ძალითაც თხოულობს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შუა არაფერი დამოკიდებულება არ იყვეს, სახელმწიფო ეკლესიას მოშორდესო. ამ წინადადებაში ღვემს ჭაზი, სხვათა შორის, ამბობს, რომ სარწმუნოება სულისა და სინილ-ის საქმეაო, სახელმწიფო და მთავრობა იმაში არ უნდა ერეოდესო, ყოველმა კაცმა თვითონ იცის თავის სინილისის საქმე და თავის სარწმუნოება. თვითონ ხალხმა, ბრველმა უნდა შეინახოს და არჩინოს სამღვდლოება და ეკლესიები, და არა სახელმწიფო ხაზინამა. ბევრი ამოჩენილან შენევის რჩევაში ამ წინადადების მოწინააღმდეგენი და ამის გამო დროებით განუხილავად დაუგდაათ.

## ქრონიკა

### ქართვალევის ვაჭრობა შინიკივლეთან და სხვა აზიისა და ევროპის ხალხებთან

პალესტინაში საშუალ-ქვეყნის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე სცხოვრებდნენ შინიკიელები, რომელნიც საღმრთო წერილში მანანველებად არიან დასახელებულნი. მს შინიკიელები იყვნენ ებრაელი ხალხის მენობლები.

რადგან ამათი ქვეყანა იყო მთავორიანი და უნაყოფო, ამისათვის იმათ არ შეეძლოთ ხენა-მთესველობის ხელობა დაეჭირათ. ამ მიზეზისა გამო იმ-თ ძალა-უნებურად ვაჭრობას მჰყვეს ხელი. ჯერ დაიწყეს ზღვაში თევზების დაჭრა, მერმე

ნურც კარგათო! ეუბნებოდა ვისაც კი შეხედებოდა დიდი კაცი.

—სულმდაბალ, მუცელ-ღმერთა საზოგადოება, მდიდრის პურ-მარილზედ გაწუწუკებული, რასაკერეღია, ძალა-უნებურად განზედ უდგებოდა მამა შენს ყოველს შემთხვევაში, და ხშირად თუ კი მოხელებდნენ როგორმე, აქაოდა დიდკაცს ვასიამოვნოთო, სდევნიდნენ საბრალოს.

—მართალია, უკიდურესობაში ჩავარდა საბრალო მდღერე, სიღარიბე კისერზედ დაწვე; მაგრამ მაინც აღარ გადუხვევია ერთხელვე დამდგარ სწორი გზისაგან.

„აქათ, რომ გახდა, ჩემს მეტი მომეღელი არაფერს ჰყოლია, წამლის ფასი არა გეკონია სახლში და ასე გაშინჯე, რომ შიმშილმაც მოგვისწრო, ისე მოკედა ის განათლებული, რომ მის პირს არაფერს უნდა არაფერი საყვედური არ წამოსცდენია. სიკვდილს წინა დღეს ხხოლოდ შენ მიგეკრა გულზედ და დაგლოცა: ღმერთო, ამას უკეთესი დრო მოასწარიო და მიიძინა საუკუნოდ.“

აქ ქერივმა ცრემლები გადმოჰყარა, ამოიხენენა, მოიწმინდა თვალეები და განაგრძო:

—მეზობლობას მისი სიკვდილი არაფრათ სწყენიათ საზოგადოთ. მაგრამ იმათშიდ-ც გამოჩნდნენ ორიოდღე ღე-

თისნიერი კაცი; გუთხარეს საფლავი, მიიტანეს სასაფლაოზედ და სასხვისშილოში ჩაფლეს. არცა საფლავის ქვა მისთვის და არც მოხსენება: ეს ცხრა წელიწადია. ბაირა რამოდენიმე საათმაც, დიდი კაციც გადაიცვალა, გამოჩენილთ იტირეს, და დასაფლავეს, საფლავზედაც მარმარილოს ქვა დაადგეს ზედ წაწერილი.

— რომ მივიდე, მე შემოძლიან მივაგნო და გავარჩიო რომელია მამაჩემის საფლავი და რომელია მისი მტრის დიდი კაცისა! ჰკითხა შეილმა.

— ადვილიაო! მიუგო დედამ: რომ განვალ იმ სასაფლაოზედ, ერთი საფლავი მარმარილოს ქვით დახურულია, მიგრამ ყოველს კუთხით კი ზედ ნარ-ეკალა ამოსულა და შიგ ბაყაყები ბუდობენ და მეორე კი უსაფლავის ქვოა, მაგრამ ზედ ეარდებია ამოსული, სადაც გაზაფხულობით ბუდობული ბუდეს იკეთებს ხოლმე, და ხშირად ღამით გაძლევებს ესმისთ ხოლმე ერთის მხრით როგორც სტვენს ბუდობული ვარდზედ შემომჯდარი სასიამოვნოს ხმით და იმავე დროს მეორეს მხრით კი საფლავის ქვაზედ შეცუტული ბაყაყი საზარელის ხმით დაყიყინებს! პირველი უგალობს მამაშენის საფლავს და მეორე ზარს ეუბნება ქვეყნის მტრის სიმარეს:

— იცი, დედა, რასა მღერის ბუდობული და ან რას ყიყინებს ბაყაყი? —მათი ენა არაფერს ესმის, მაგრამ აზრათ ბევრს ეყურება და თვითონ მე გეტყვი რას ნიშნავს მათი ხმა!

— მე გეტყვი და მერე შენ იჩიე, თუ რომელს მკეთართაგანს უნდა დაემზგავსო სიკვდილის შემდეგ; სავარდბუდობულობს, თუ საგველ-ბაყაყ-საეკ-ლოს?

### ბუღბუღის სტვენა

მით ამ წვედილასა და ბნელსა ღამეს, ანათებს მავარე, სხივ-მომფინარე, ისე აბრწყინდა ქველ-მოქმედებით ცხოვრების ბნელ გზას აქა მდებარე.

მით ლაჭვარდოვან ცაზედ კაშკაშით სწნდება თან და-თან ვასკვლავთა კრება, ისე ბრწყინავდა მისი ჰზრები, მინც ამ ბნელ საფლავ ქვეშ იფარება.

ღა ვით ეს ვარდი ნორჩი კოკობი ამო საჭერტი, წმინდა, სუნნელი, ისე ჩრეული იყო მის გრძნობა, მისაც აქ იცვავს საფლავი ბნელი.

მითა ბუღბუღი სტვენს მრავალ-გვარად და შორს გაისმის მისი გალობა, ისე უმღერებს ჩანგ-მომართვითა. ამ გვარ კაცებსა ჩამომავლობა!

მინც თვის მამულზედ მარად ჰჰიჭრობდა და სამშობლოსთვის უძგერდა გული, მისი სახელი უკუნისამდე იყოს მაღალი და კურთხეული!

### ბაყაყის ყიყინი


ბველ ბაყაყის ბუდე იყო სიციცხლეში მისი გული, მისიც გვაში დაწვევლილი ღღეს აქ არის დამარხული.

ჰერივ-ობლების დამჩავერელმა არ იცოდა ქვეყნად მაღლი და სამშობლოს ისე ჰზრავდა, მით საფლავის მას ჰზრავს მატილი.

ჰზრებით მტრებს, მის დამჩავერელს მრუდე ჰქონდა გზა და კვალი და რაც სათესა სიციცხლეში, ამოვიდა ვით ეკალი.

ღა ვაი მას ვინც ამ გვარად საუკუნოდ დაიძინა: მას საფლავში გველ-ბაყაყებს და მატლებს აქვს მხოლოდ ბინა.

იმას დაჰგობს შემდეგი დგმა; შეჩვენებს და დასციენებს, და სასხოვრად საუკუნოდ მას ბაყაყი უყიყინებს!..



ცოტ-ცოტად გემების გაკეთებაც ისწავლეს, და დაიწყეს ზღვაში მეკობრობა, და ამ სახით ნელა-ნელა შეიქმნენ ქვეყანაზე ძველ დროში პირველ მოვაჭრე ხალხად. ქვეყანაზე პირველადელი ხალხების ვაჭრობა ის იყო, რომ ნიეთებსა და ნაწარმოებს უცვლიდნენ ერთმანერთს. როგორც ახლა ფულით სყიდვა და გაყიდვა არის, უწინ ასრე არ იყო, ამისათვის რომ ფულები არ იცოდნენ. მისაც კი რამე დასჭირდებოდა, ის მოძებნიდა მეორეს, რომელსაც ჰქონდა იმასათვის საჭირო ნიეთი და იმაში უცვლიდა თავის ნაწარმოებს.

თავდაპირველად აი ამ გვარი ვაჭრობა ჰქონდათ შინიკიელებს, მართველებს, იეზუიტული წინასწარმეტყველის სიტყვით, რომელთაც ის იოფანი, თობელი და მოსოხის სახელებით მოიხსენებს. აი როგორ არის ამ წინასწარმეტყველის სიტყვები სლავიანურიდან რუსულად გადმოთარგმნილი: „იოფან, თუბელ და მოსოხ ვაჭრობდეს შენ შორის სულგსა კაცთასა და ჭურჭელსა რვალისასა მოგცემდეს სავაჭროდ. სახლისაგან თორგამოსისა ცხენნი და ცხენოსანი და კერძო ვირნი მისცნეს სავაჭროდ შენდა“. (იხილეთ საწინასწარმეტყველის რუსულად და ქართულად მე-27-დე თავი, მუხ. მე-13 და 14.)

ამ გვარად ვაჭრობა, რასაკვირველია, ძნელი იყო; ამისათვის როცა კაცებმა შეისწავლეს რკინის ღარბილება და გადაღობა, მაშინ დასდევს ერთმანერთში პირობად ოქროსი, ვერცხლისა და რკინის ზოდების ნაჭრების ვაჭრობაში შემოღება; დასდევს პირობა, რომ ოქროსი და ვერცხლის ნაჭრებს ყოველ ხალხში ფასი ჰქონოდა. თუ ვისმეს მოუნდებოდა რამე ნიეთი ან საქონელი, მაშინ ამათში გაუცვლიდნენ. ამან ვაჭრობაში მორიგება გაადვილა. ჯერ პირველად რკინეულებს ასწონავდნენ, მერმე რა საქონელსაც სყიდინდნენ და ან ყიდულობდნენ, იმისა და მიხედვით აძლევდნენ ღირებულებას ნაჭრის. ჩინეთში ბეზირგები დღესაც ატარებენ თავისთან ვერცხლის ზოდებს, რომლებიდან მაკრატლით ჰსჭრიან იმოდენას, რამოდენიც უნდათ მისცენ საქონელში. შემდეგ

დროს და დროს განმავლობაში კაცებმა ისწავლეს ამ მანქანების პატარ-პატარად მოჭრა და ზედ რამე ნიშნისა და ბეჭდის დასმა, რომლითაც იცნობებოდა ერთი ფასი. უფრო მერმე ზედ დააწერეს იმისი ფასიცა.

აი ასრე დაიწყო ფულები და იმათა ხმარება. ამის შემდეგ მანქანებს ფასი დაედა და რკინა, ვერცხლი და ოქრო ვაჭრობაში შეამავლეს შეიქმნენ. ახლა ვაჭრებმაცა და სხვებმაც დაიწყეს რკინისა, ვერცხლისა და ოქროს მანქანების ძებნა. რადგან ჩვენს საქართველოში ამგვარი მანქანებია მთების გულში ბევრი იპოვება, ამისათვის ყველა ხალხების ვაჭრები აქ მოაწყდებოდნენ. შინიკიელები, სპარსები, ინდოელები, ასურელები, ბაბილონელები და ბერძნები ყველანი აქ ვაჭრობდნენ, და უხვიერად განქონდათ საქართველოდან ეს უძვირფასესი ნიეთები. ამას ამტკიცებს იგივე წინასწარმეტყველი მხეციელი, მცხოვრები 525 წლის ძრ. წინ. მართველებმა ამდროს კარგად იცოდნენ მანქანების გადაღობა. თუ კი სპარსეთის ქვებების კეთება იცოდნენ და იმათით ვაჭრობდნენ შინიკიელებთან, ეჭვი არ არის, რომ რკინეულების ხმარება საქართველოში უფრო იცოდნენ, ვიდრე სხვაგან. ეს რომ ასრე არ ყოფილიყო, ეს ვაჭარი ხალხები აქ ასრე არ მოაწყდებოდნენ. ახლაც არის საქათლისა და ნუნის მაზრებში სოფლები, საცა ქვებებს აკეთებენ და ვაჭრობენ. აგრეთვე აკეთებენ დალისტანშიაც.

როგორათაც შინიკიელებს გაჰქონდათ საქართველოდან რკინა, ვერცხლი და ოქრო, აგრეთვე ბერძნებსაცა. ახლა ეჭვი აღარაღივს ანაქეს, რომ ბერძნის პარონაეტები იყვნენ ვაჭრები და იმათ ძალიან ბლომად გაჰქონდათ იმერეთიდან ეს კეთილადმოზილი რვალები. ამას გვიმტკიცებს მითოლოგიური მოთხრობა ოქროს მატყლოვანის ვერძისა.

აგრეთვე აქ ვაჭრობდნენ მატყლით,

ღვინით, თიხის ჭურჭლით და ხამებით, რომლის ქსოვაც დღევანდლამდე არის ხალხში დარჩენილი. ეს უკანასკნელი ხელობა ქართველებს ეგვიპტელებმა ასწავლეს. როგორც ეტყობათ, მკვიპტელებს აქ ჰქონიათ გახსნილი სამეურნეო ქარხნები; თუ არა და აბა როგორ და ან სად ისწავლიდნენ ქართველები ხამების ქსოვას?

ამ ვაჭარი ხალხების საეჭრო ადგილები სახელდობ იყო, შვი-ზღვის პირის ქალაქებში, ბათუმში, სუხუმში, მღვესაში, მერმე შიგნით ქალაქებში: ძველ სენაკში, შუთაისში, შორაპანში, რომელიც ჰქონდათ საწყობი ადგილი იყო, სურამში, მცხეთაში, და (ძახეთში) შილდაში. მართი, სიტყვით შინიკიელებსა და ბერძნებს საქართველოს უდიდეს მდინარეების ნაპირებზე მოსახლეობა ჰქონდათ ჩაგდებული და ვაჭრობდნენ ქართველებთან. რაც იმათ ქვე-

ყნებში მიდიოდა, ეჭვით ვაჭრობდნენ; რაც [ქვემოთ] ეჭვით ვაჭრობდნენ; რაც [ქვემოთ] ეჭვით ვაჭრობდნენ. ის აქედან თეითონ მიჰქონდათ. ამისათვის იმათ აქ ჰქონდათ გამართული იარაღებიცა. მართი ამ იარაღკათაგანი იყო ძველს სენაკში, სამეგრელოში, სხენის-წყლის მახლობლოვ, და იქ ჩვენი სენაკებიც ბევრს ნადირის ტყაებს ჰყიდნენ. ტყაებით ისინი დღესაც ვაჭრობენ.

ამავე საქართველოზე მიდიოდა აზიიდან მეროპაში დიდი შარა-გზა, რომელზედაც დაიარებოდნენ აღმოსავლეთის ბეზირგები. ეს გზა ამოწყვეტებოდა მტკვარს, გადმოვიდოდა იმერეთში, ლიხის მთაზე, შორაპანში, და მერმე გასწევდა მეროპაში. ეს ამბები იყო 625 წლიდან 506 წლამდე.

ინგლო ჯანაშვილი

ბარდანქეშან-პიარი.



ბუქველიდან გამოვიდა და მომავალ კვირაში გაისყიდება

## პირველი კარი შარამანიანისა,

სპარსულიდან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სალთხუცის და სარდლის თაჰადი დავით მრბულიანიანსაგან. საამოთ სასმენელი. ზოგიერთი სურათებით შარამანიანისა, ბარდანქეშანისა და სხვ.

გამოსცემული დავით ლაზარევიანსაგან და ნიკოლოზ კობალაძისაგან.

ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.) განსჯიდება ჯერ-ჯერობით ტფლისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა „მეორე კარი შარამანიანისა.“

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.			III კ.			IV კ.			საჯ.
	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.		
თფილისი . . .	8	18	8	17										
მცხეთა . . . . .	9	18	10	—	68	38								
ზორი . . . . .	11	39	1	43	2	40	1	23						
სურამი . . . . .	1	52	4	30	3	92	2	18						
ბეჟათუბანი . . .	3	45			4	42	2	46						
შვირლია . . . . .	6	49			5	81	3	23						
შუთაისი . . . . .	7	55			6	75	3	75						
სამტრედია . . . . .	9	2			7	73	4	29						
ახ.-სენაკი . . . . .	10				8	57	4	76						
შოთი . . . . .	11				9	75	5	42						
შოთი . . . . .	7	38												
ახ.-სენაკი . . . . .	9	11			1	18	—	66						
სამტრედია . . . . .	10	12			2	6	1	14						
შუთაისი . . . . .	11	17			3	4	1	69						
შვირლია . . . . .	12	38			3	98	2	21						
ბეჟათუბანი . . .	3	27	ლაშ.		5	33	2	96						
სურამი . . . . .	4	57	12	30	5	84	3	24						
ზორი . . . . .	7	23	3	31	7	36	4	9						
მცხეთა . . . . .	9	52			9	85	4	1						
თფილისი . . . . .	10	49	8	29	75	5	42							

საქონლის გეგმა		ფოტო		ბირჟა		მაზანდა	
ა) შოთიდან:	ბ) შოთიდან:	ა) თფილისიდან:	ბ) შოთიდან:	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
მდესისკენ — ორშაბ. დილისგანათ.	მდესისკენ — კვირაობით დილას.	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდისა, მზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	მდესისკენ — კვირას, გათენებისას.	პეტერბურგი, 16 ივნისს.		თფილისი, 19 ივნისს	
შოთიდან: I II III	შოთიდან: I II III	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდის — ოთხშაბ.	შოთიდან: I II III	ერთი მანეთი ღირს: ლონდონში 337 3/8 პენსი. პარიჟში 347 1/4 სანტიმი. მსკონტი (სარგებლისფასი) ბანკის ბილეთი 5% მოგებიანი (პირველისფასი) მოგებიანი (მეორე სესხი) გირაოს ფურცლები: თფილ. სააზნ. ბანკისა. ხერსონის ბანკის (5 1/2%) მოსკოვის (5%) . . . . .	99 75	— 84	პური შორაგლის ფთ. 1 10
სოხუმამდი . . . 4 3 1	მერჩამდი . . . 20 50 15 50 5	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდის — ოთხშაბ.	მდესისკენ . . . 34 27 8 60	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	212 25	— 89	მერი ფუთი . . . . . 60
მდესისკენ . . . 38 30 9 60	მდესისკენ . . . 38 30 9 60	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მდესისკენ . . . 38 30 9 60	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	207 25	— 99	ბაბა მერცხისა, ფუთი . . . 4 50
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	87	— 99 75	— ამერიკისა, ფუთი . . . 6 40
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	86 50	— 212 25	ბაქონტილი ბაბა ფთ. 8 —
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 207 25	მატყული თუშური ფთ. 6 50
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	— თარაქამისა ფთ. . . 3 60
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 86 50	პბრუშში ნუხური გრ. 2 60
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	ჭონი, ფუთი . . . . . 4 —
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 86 50	ჭონის სანთელი ფუთი. 5 60
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	სტეარინის სანთელი, ფ. 10 20
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 86 50	ხორცი ძრახვისა, ლიტ. — 65
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	— ცხვისა, ლიტრა . . . . . 75
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 86 50	სპირტი, ვედრო . . . . . 7 —
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	შაქარი, კარგი ფუთი . . . 8 40
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 86 50	— ფხვნილი ფუთი . . . . . 6 90
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	შავა გრგვლი ფუთი . . . 19 —
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 86 50	— შუთი ქუნჯუთისა ფთ. 6 —
მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		— 87	მქრო 1/2 იმპერიალი . . . 5 94